

ვებგვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული ფიზიკური პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში „ხელშეკრულება“) 8.5 პუნქტის შესაბამისად, სს „თიბისი ბანკი“ გათავაზობთ ხელშეკრულებაში შემდეგი ცვლილებების (დამატებების) შეტანას:

შეიცვალოს ხელშეკრულების მე-15 მუხლის 15.5 პუნქტის 15.5.5 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

15.5.5 ბანკი უფლებამოსილია, ცალმხრივად შეცვალოს მოთხოვნამდე ანაზრის საპროცენტო სარგებლის დარიცხვის მეთოდი და/ან საპროცენტო სარგებლის ოდენობა, რის შესახებაც ბანკი მენაზრის ინფორმირებას უზრუნველყოფს ცვლილებამდე 2 (ორი) თვით ადრე მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნით.

შეიცვალოს ხელშეკრულების მე-16 მუხლის 16.12 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

16.12 იპოთეკური კრედიტის, სამომხმარებლო კრედიტის ან/და ავტო-კრედიტის (ამ ხელშეკრულების 16.12-16.17 პუნქტების მიზნებისთვის შემდგომში “კრედიტის”) დაფარვის გრაფიკით გათვალისწინებული გადახდების ვადაზე ადრე განხორციელების მოთხოვნის დაფიქსირება (მათ შორის კრედიტის წინსწრებით სრულად ან ნაწილობრივ დაბრუნება ან/და რეფინანსირება) ან/და გაუქმება, უნდა განხორციელდეს კლიენტის/მსესხებლის მიერ ბანკისათვის წერილობითი (მატერიალური ან ელექტრონული) განაცხადის (მოთხოვნის) წარდგენის გზით. კლიენტის/მსესხებლის განაცხადის (მოთხოვნის) შესრულებას (კლიენტის/მსესხებლის ანგარიშ(ებ)ზე საკმარისი სახსრების არსებობისას), ბანკი უზრუნველყოფს განაცხადის (მოთხოვნის) მიღების დღეს, ან მომდევნო სამუშაო დღეს, თუ კლიენტის/მსესხებლის მიერ განაცხადის (მოთხოვნის) დაფიქსირება განხორციელდა არასამუშაო საათებში. მიუხედავად ზემოხსენებულისა, ბანკი უფლებამოსილია სხვადასხვა (მათ შორის ტექნიკური) მიზეზიდან გამომდინარე და/ან სხვადასხვა ფაქტის დადგენის მიზნით, კლიენტის/მსესხებლის განაცხადი (მოთხოვნა) შეასრულოს მისი მიღებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში. კლიენტის/მსესხებლის განაცხადის (მოთხოვნის) მიღებიდან და კლიენტის/მსესხებლის ანგარიშ(ებ)ზე საკმარისი სახსრების არსებობისას, კრედიტის ვადაზე ადრე (სრულად ან ნაწილობრივ) დაფარვამდე პერიოდში, კრედიტს არ დაერიცხება პროცენტი. ამასთან, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, კრედიტის (რომლის თანხა აღემატება 2 000 000 ლარს ან მის ეკვივალენტს უცხოურ ვალუტაში) წინსწრებით სრულად ან ნაწილობრივ დაფარვისას, კლიენტი/მსესხებელი ვალდებულია ბანკს შესაბამისი განცხადებით (მოთხოვნით) მიმართოს სავარაუდო გადახდის თარიღამდე 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე და ამ შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია კრედიტის ვადაზე ადრე (სრულად ან ნაწილობრივ) დაფარვამდე პერიოდში, კრედიტს დაარიცხოს პროცენტი.

შეიცვალოს ხელშეკრულების მე-16 მუხლის 16.23 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

16.23 სს "თიბისი ბანკი" (მის: ქ. თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. #7) შეაგროვებს/დაამუშავებს პირის შესახებ ყველა იმ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და

პირობებით. წინამდებარე ინფორმაცია მუშავდება მომხმარებლის გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში ჩართული მომხმარებლისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით (სესხის გამცემი ორგანიზაციები და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირები). მომხმარებლის (მათ შორის, მონაცემთა სუბიექტი) მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.

შეივალოს ხელშეკრულების მე-16 მუხლის 16.26 პუნქტის 16.26.4 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

16.26.4 ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებული ნებისმიერი დამატებითი ხელშეკრულების (ნებისმიერი საკრედიტო პროდუქტის) გრაფიკით გათვალისწინებული გადასახდელი თანხის 14 (თოთხმეტი) დღიანი ვადაგადაცილების შემთხვევაში, ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ მიაწოდოს კლიენტთან დაკავშირებულ შემდეგ პირებს: საკრედიტო პროდუქტის მიღების შესახებ კლიენტის ნებისმიერ განაცხადში დაფიქსირებულ პირებს (ოჯახის წევრებს, რეკომენდატორებს, საკონტაქტო პირებს და სხვა). ამასთან, ბანკი უფლებამოსილია, მხოლოდ კლიენტის ადგილსამყოფელის/საკონტაქტო ინფორმაციის დადგენის მიზნით, დაუკავშირდეს კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე დაფიქსირებული თანხების შემომტან/გადმომრიცხავ პირ(ებ)ს - გადამხდელ(ებ)ს, რასთან დაკავშირებითაც კლიენტი წინასწარ აცხადებს თანხმობას.